საქართველო
შ.პ.ს.
"ა.ფ. აუდიტცენტრი"

GEORGIA
L.T.D
"A.P. AUDITCENTER"

5400 წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25
მობ: 899-56-57-54

5400 Tskaltubo Rustaveli №25
mob: 899-56-57-54

№ 08-6

"12" "[illegible]" "2017 წ.

საკონსულტაციო ა ქ ტ ი

1. შედგენის თარიღი: 12 აპრილი 2017 წ.
2. შედგენის ადგილი: ქ. წყალტუბო.
3. კონსულტაცია შედგენილია: შპს "ა.ფ. აუდიტცენტრი"-ს (სერთიფიკატი ზ/№5\361 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული სააუდიტორო საბჭოს მიერ) აუდიტორის მიერ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის დირექტორის ზ. მამარდაშვილის 2017წლის 13 თებერვლის MES 31700167435 წერილის შესაბამისად.

4. კონსულტაციის მიზანი: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ამორტიზირებული შენობა–ნაგებობის დაშლის შემდგომ საორიენტაციო დარჩენილი მეორადი სამშენებლო მასალების, ჯართის და შეშის რაოდენობის განსაზღვრა, შესაბამისად მათი ღირებულების დადგენა და შენობა–ნაგებობის დაშლა–გატანისათვის გაწეული ხარჯის განსაზღვრა.

საკონსულტაციოდ წარმოდგენილია: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის საკუთრებაში რიცხული ამორტიზირებული შენობა–ნაგებობა .

დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა შემდეგი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთის –რაჭა–ლეჩხუმის–ქვემო სვანეთის მომსახურეობის ცენტრი არ არის წინაღმდეგი სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული სკოლის შენობის ჩამოწერაზე და დემონტაჟზე არსებული წესისა და საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

სკოლის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დადგინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მისი ექსპლოატაცია არ არის მიზანშეწონილი. შენობაში არსებული დიდი მოცულობის გასამაგრებელი ზონებიდან და მათი დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე მისი აღდგენა რეაბილიტაცია არარენტაბელურია .

საჯარო სკოლის საივენტარიზაციო კომისიის მიერ დადგინდა რომ აღნიშნული შენობა–ნაგებობა აგებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და სკოლის შემდგომი ფუნქციონირებისათვის გამოუყენებელია. სკოლის შენობა ორ სართულიანი, " П"– ფორმის, გაბარიტული ზომებით 36*41მეტრი, კედლები "გვიშტიბი"–ს საშენი ბლოკის, საძირკველი სავარაუდიდ ქვის წყობის, სართულ შუა გადახურვა ხის კონსტრუქცია, სახურავი დაფარულია თუნუქის ტალღოვანი ფურცლებით.

შენობანაგებობის სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის ნორმებისა და წესების ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად შენობა ნაგებობის დაშლა უნდა დაიწყოს ზემოდან :

სახურავის და სხვენის დემონტაჟი, მეორე სართულის დემონტაჟი, პირველი სართულის დემონტაჟი და საძირკვლის დემონტაჟი.

სახურავისა და სხვენის დემონტაჟის შემდგომ დარჩება სავარაუდოდ სამშენებლო მეორადი მასალები: თუნუქი– 600 ცალი. მეორადი ფიცარი 2400 გრძ. მეტრი. ხის მართკუთხა კოჭი 6მეტრიანი, 5მ და 3,5 მეტრიანი–2300გრძ.მ.

მეორე და პირველი სართულის მზიდი კონსტრუქციების, სართულ შორის გადახურვის,იატაკის, შეკიდული ჭერის, ტიხრების, კარებისა და ფანჯრების,კიბის დემონტაჟის შემდგომ დარჩება შემდგომი მასალები: 1) ლითონის გისოსები– 1 ერთეული, 2)მეტალოპლასმასის ფანჯრები პირველ და მე–2 სართულზე სულ–75 ცალი ზომიტ (1,6*1,15)მეტრიანი. 3) ლითონის " П" ძელი 4მ–იანი 8 ცალი. 4) ჯართი– 1 ტონა, 5)ბლოკი 32200ცალი, 6) შეშა –15 კუბ. 7) მეტალო პლასმასის კარები–5 ერთეული, ზომებით (2,2*0, 8) მეტრიანი.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული შენობის დაშლა უნდა მოხდეს სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის ნორმებისა და წესების დაცვით, უმეტესი სამუშაოები ჩასატარებელია ელემენტალურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით. (ამასთან გასათვალისწინებელია დაშლა დემონტაჟის დროს კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები)

დასკვნა: ზემოთ აღნიშნული დაკვირვებით, ქონების ლიკვიდურობისა და ბაზარზე არსებული კონეუქტურის გათვალისწინებით დარჩენილი სამშენებლო მასალების ღირებულება საორენტიზაციოდ შეადგენს: 1)თუნუქი–600 ცალი–6000ლარს, 2)მეორადი ფიცარი 2400გრძ.მ.–2400 ლარს, 3)ხის მართკუთხა კოჭი 6 მ, 5მ, და 3,5მ–იანი–2300გრძ.მ–6900ლარი, 4) ლითონის გისოსები 1ერთეული–40 ლარი, 5)მეტალოპლასმასის ფანჯრები 75 ერთეული–1500 ლარს, 6)ლითონის" П"–ბრი ძელი 8ცალი–160 ლარი, 7) ლითონის ჯართი 0.5 ტ.–150ლარს, 8) ბლოკი 32200 ცალი–16100 ლარს, 9) შეშა–15 კუბ.–450 ლარს, 10) მეტალოპლასმასის კარები–5ცალი–100ლარს, ხოლო დაშლა დემონტაჟისა და ტერიტორიის გასუფთავების ხარჯები შეადგენს 24000 ლარს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სულ ღირებულება შეადგენს 9800 ლარს.

შპს "ა.ფ. აუდიტცენტრის" დირექტორი: ფ. ციბაძე

221275992